



მოხსენება

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
მთავრობის ანგარიშზე

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები	6
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	8
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	9
3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	13
3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	15
4. სახელმწიფო ვალი	17
4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები	18
4.2. საშინაო ვალი	21
4.3. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები	21
დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები	23
დანართი 2. ბიუჯეტის შესრულება - მაგალითები	24

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები 14.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები 14.4 მლრდ ლარით განისაზღვრა. ივნისში კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 18.4 მლრდ ლარამდე (26.6%-ით), გადასახდელების კი 15.9 მლრდ ლარამდე (10.3%-ით) გაიზარდა. ასევე, ბიუჯეტის კანონს დაემატა კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის საპასუხო ღონისძიებები, ჯამური დაფინანსებით 2,038 მლნ ლარი. აღნიშნული თანხიდან უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამებზე (39.5%), ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებებსა (23.8%) და ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერაზე (17.1%).

8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების ტენდენცია თანაბარზომიერებით ხასიათდება და 6.8 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 9 თვის გეგმის 94.7%, ხოლო წლიური გეგმის 66.4%-ია. 9 თვის გეგმის შესაბამისად სრულდება საგადასახადო შემოსავლების ყველა კომპონენტი და წლის ბოლომდე მოსალოდნელია მათი პროგნოზირებული მაჩვენებლის შესაბამისად მობილიზება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოებიდან ბიუჯეტში დივიდენდების მობილიზების საკითხი ისევ პრობლემატურია. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობამ 50.5 ათასი ლარი და წლიური გეგმის 5.1% შეადგინა. მიმდინარე წელს შეიკრება დივიდენდების გამანაწილებელი სამთავრობო კომისია, თუმცა სხდომაზე მსჯელობა გაიმართა მხოლოდ ერთი საწარმოს დივიდენდების განაწილების საკითხზე და კომისიას სხვა მიმართულებით გადაწყვეტილებები არ მიუღია.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 8 თვის მდგომარეობით ათვისების მაჩვენებელი ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 60.1%-ს (9.6 მლრდ ლარს), ხოლო 9 თვის გეგმის 80.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ გადასახდელების ათვისება შესაბამის კვარტალურ გეგმებთან ჩამორჩენით ხასიათდებოდა პირველი ორი კვარტლის განმავლობაში. აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება მესამე კვარტალშიც. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის ხარჯვის ტენდენციები წინა წლების შესაბამისი პერიოდის მსგავსია, მოსალოდნელია გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისების კონცენტრაცია 2020 წლის ბოლოს.

პანდემიამ გამოიწვია პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილების საჭიროება და გარკვეულწილად შეაფერხა ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების განხორციელება, რაც მათზე გამოყოფილი ასიგნებების ათვისების დაბალ მაჩვენებლებში გამოიხატა. თუმცა, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებული ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც საბიუჯეტო რესურსების მართვის არაეფექტიანობითაა გამოწვეული. კერძოდ:

- გარკვეულ შემთხვევებში, ადგილი აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც ბიუჯეტის კანონით არ იყო გათვალისწინებული ან გამოყოფილი ასიგნება საკმარისი არ აღმოჩნდა, თუმცა ორგანიზაციის მხრიდან შესაძლებელი იყო საჭირო ოდენობის რესურსის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება;
- ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება როგორც ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ, ასევე კვარტალური განწერით განსაზღვრულ 9 თვის გეგმასთან მიმართებით.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობა ბიუჯეტის კანონის ცვლილებით 2.8 მლრდ ლარიდან 3.0 მლრდ ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ (51.2%) განაპირობა StopCov ფონდმა, რომელიც პანდემიის საპასუხო ღონისძიებების დასაფინანსებლად შეიქმნა. ფონდის მოცულობა 133.5 მლნ ლარით განისაზღვრა, საიდანაც 8 თვის მდგომარეობით გამოყოფილმა თანხამ 120 მლნ ლარი შეადგინა.

2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 26.3 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 5.7 მლრდ ლარით აღემატება 2019 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელს. აღნიშნული უმეტესწილად დაკავშირებულია ახალი სესხების აღებასთან.

- საინვესტიციო პროექტების ნაწილი, 8 თვის მდგომარეობით, ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, საკრედიტო სახსრების ათვისება 60%-ზე ნაკლებია 14 პროექტის შემთხვევაში. აღნიშნულ პროექტებზე, 9 თვის გეგმის გათვალისწინებული იყო 125.4 მლნ ლარის ოდენობით რესურსის მიმართვა, საიდანაც ათვისებული იქნა მხოლოდ 25 მლნ ლარი (20%);
- საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების დროული ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის სესხებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის (Commitment Fee) გადახდას კრედიტის ათვისებულ ნაწილზე. 8 თვის მდგომარეობით, ჯამურად გადახდილი ვალდებულების გადასახადი 5.4 მლნ ლარს შეადგენს. მათ შორის, 60%-ზე დაბალი შესრულების მქონე 9 პროექტის შემთხვევაში, გადახდილია 2.1 მლნ ლარი.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები

2020 წელს ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ სრულიად შეცვალა როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. ეპიდემიის შესაკავებლად, მარტში¹ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და დაწესდა სხვადასხვა შეზღუდვები და რეგულაციები, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ეკონომიკურ აქტივობაზე. აღნიშნულის შედეგად, სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, პირველ კვარტალში ეკონომიკა მხოლოდ 2.2%-ით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში 12.3%-ით შემცირდა. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის გათვალისწინებით, 2020 წლის ივნისში ცვლილებები შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში და მასში აისახა ნეგატიური შოკების საპასუხო ღონისძიებები.

ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსულობების მოცულობა 14.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები - 14.4 მლრდ ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 18.4 მლრდ ლარამდე (26.6%-ით), გადასახდელების კი 15.9 მლრდ ლარამდე (10.3%-ით) გაიზარდა. შესაბამისად, დაიგეგმა 2.5 მლრდ ლარის ოდენობის ბიუჯეტის ნაშთის დაგროვება 2020 წლის ბოლოს. ამასთანავე, კანონის ცვლილების შედეგად დაკორექტირებული კვარტალური განწერით, დაიგეგმა პირველ სამ კვარტალში შემოსულობების მაჩვენებლის ჯამურად, 636 მლნ ლარით გადაჭარბება შესაბამისი პერიოდის გადასახდელებზე.


ცხრილი 1. კვარტალური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები - 2020 წ. (მლნ ლარი)

	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წლიური გეგმა
შემოსულობები	3,682	3,979	4,842	5,916	18,420
გადასახდელები	3,508	3,835	4,525	4,056	15,924
ნაშთის ცვლილება	175	144	317	1,860	2,496

8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 11.4 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 62.0%), ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 9.6 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 60.1%) შეადგინა. პირველი ორი კვარტალის განმავლობაში შემოსულობები გადაჭარბებით შესრულდა, გადასახდელები კი გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდებოდა (იხ. დიაგრამა 1). კერძოდ, პირველ კვარტალში შემოსულობებმა გეგმას 1.5%-ით (54 მლნ ლარით), მეორე კვარტალში კი 7.4%-ით (294.7 მლნ ლარით) გადააჭარბა. ანალოგიურ პერიოდში გადასახდელები კვარტალურ გეგმებს, შესაბამისად, 1.3%-ითა (44.8 მლნ ლარით) და 10.4%-ით (400.2 მლნ ლარით) ჩამორჩა. შემოსულობებისა და გადასახდელების მსგავსი ტენდენციები ნარჩუნდება მესამე კვარტალის განმავლობაშიც.


¹ 21 მარტიდან 22 მაისამდე.

დიაგრამა 1. 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება საბოლოო კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან.




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების შედეგად, პირველი ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი დაგეგმილი 319.3 მლნ ლარის ნაცვლად 1,113 მლნ ლარით გაიზარდა. 8 თვის მდგომარეობით კი ბიუჯეტის ნაშთის ზრდამ 1,850 მლნ ლარი შეადგენა და 190.6%-ით (1,213 მლნ ლარით) გადააჭარბა სამი კვარტლის გეგმურ მაჩვენებელს.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების ყოველთვიური დინამიკა - 2020 წ. (მლნ ლარი)



დიაგრამა 3. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა ყოველი თვის ბოლოს - 2020 წ. (მლნ ლარი)



ბიუჯეტის ნაშთის ზრდის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს ნაშთში აკუმულირებული ფულადი სახსრების განთავსება კომერციული ბანკების დეპოზიტებზე. 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ბიუჯეტის ნაშთიდან კომერციულ ბანკებში მოკლევადიან (ძირითადად ერთ თვიანი²) დეპოზიტებზე განთავსებული თანხის ჯამურმა მოცულობამ 1,750 მლნ ლარი შეადგენა.

გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე³, ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის

² 31 აგვისტოს მდგომარეობით, ბიუჯეტის ნაშთიდან ერთ თვეზე მეტი ვადიანობის მქონე დეპოზიტებზე განთავსებულია 50 მლნ ლარი.

³ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N845 განკარგულება.

ივნისსა და ივლისში კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 11.2 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა და 551.9 მლნ ლარით (5.2%-ით) გაიზარდა 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით. პანდემიამ და ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა იქონია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, შედეგად კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსავლების წლიური გეგმა 1 მლრდ ლარით (9%-ით) შემცირდა, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 1.5 მლრდ ლარით (14.2%-ით) კლებამ განაპირობა.

ცხრილი 2. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი)⁴.

	2020 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება (2)	2020 წლის 9 თვის გეგმა (3)	8 თვის ფაქტიური შესრულება (4)	% (4)/(1)	% (4)/(2)	% (4)/(3)
საგადასახადო შემოსავლები	10,465	8,979	6,577	6,175	59.0%	68.8%	93.9%
გრანტები	242	558	74	95	39.4%	17.1%	129.0%
სხვა შემოსავლები	520	675	506	508	97.8%	75.3%	100.5%
შემოსავლები	11,227	10,213	7,157	6,778	60.4%	66.4%	94.7%

8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამური შემოსავლების მობილიზების ტენდენცია თანაბარზომიერებით ხასიათდება და 6.8 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 9 თვის გეგმის 94.7%, ხოლო წლიური გეგმის 66.4%-ია. საგადასახადო შემოსავლების ყველა კომპონენტი 9 თვის გეგმის შესაბამისად სრულდება. **სხვა გადასახადების** მუხლის მოცულობა 8 თვის მდგომარეობით 80 მლნ ლარი შეადგინა. ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით ამ მუხლში მისაღები შემოსავლები 201.7 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო კანონში განხორციელებული ცვლილებით გეგმა ნულამდე შემცირდა. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული **დივიდენდების** მოცულობამ მხოლოდ 50.5 ათასი ლარი და წლიური გეგმის 5.1% შეადგინა. მიმდინარე წლის აგვისტოში შეიკრიბა დივიდენდების გამანაწილებელი კომისია⁵, თუმცა სხდომაზე მსჯელობა გაიმართა მხოლოდ ერთი საწარმოს დივიდენდების განაწილების საკითხზე და კომისიას სხვა მიმართულებით გადაწყვეტილებები არ მიუღია.

⁴ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

⁵ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისია.

ცხრილი 3. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი)⁶.

	2020 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება (2)	2020 წლის 9 თვის გეგმა (3)	8 თვის ფაქტიური შესრულება (4)	% (4)/(1)	% (4)/(2)	% (4)/(3)
საშემოსავლო გადასახადი	3,415	2,990	2,246	2,000	58.6%	66.9%	89.0%
მოგების გადასახადი	970	840	692	684	70.5%	81.4%	98.8%
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,398	3,754	2,636	2,445	55.6%	65.1%	92.7%
აქციზი	1,400	1,325	922	916	65.5%	69.2%	99.4%
იმპორტის გადასახადი	80	70	52	50	62.6%	71.6%	96.3%
სხვა გადასახადები	202	0	29	80	39.6%	-	274.2%
საგადასახადო შემოსავლები	10,465	8,979	6,577	6,175	59.0%	68.8%	93.9%

3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, გადასახდელების წლიური გეგმა 14.4 მლრდ ლარით განისაზღვრა. პანდემიის ფონზე, ბიუჯეტის კანონში ივნისში განხორციელებული ცვლილებით, გადასახდელების გეგმა 1.5 მლრდ ლარით გაიზარდა და 15.9 მლრდ ლარს გაუტოლდა. 8 თვის მდგომარეობით, გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 60.1%-ს (9.6 მლრდ ლარს) შეადგენს და 1.6 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს⁷.

ცხრილი 4. 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

	2020 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება (2)	2020 წლის 9 თვის გეგმა (3)	8 თვის ფაქტიური შესრულება (4)	% (4)/(2)	% (4)/(3)
ხარჯები	10,847	12,556	9,290	7,584	60.4%	81.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,221	2,008	1,534	1,193	59.4%	77.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	342	327	258	183	55.9%	70.8%

⁶ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.


⁷ 2019 წლის 8 თვის მდგომარეობით, გადასახდელების ათვისების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით 61.7%-ს შეადგენდა.

ვალდებულებების კლება	1,023	1,033	785	610	59.1%	77.6%
გადასახდელები	14,433	15,924	11,867	9,570	60.1%	80.6%

პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან მიმართებაში გადასახდელები ჩამორჩენით ხასიათდებოდა. აღნიშნულ პერიოდში აუთვისებელი ჯამური თანხა 445 მლნ ლარს შეადგენს. კერძოდ, პირველ კვარტალში ჩამორჩენამ 1.3% (44.8 მლნ ლარი), ხოლო მეორე კვარტალში 10.4% (400.2 მლნ ლარი) შეადგინა. მსგავსი ტენდენცია ნარჩუნდება მესამე კვარტალშიც.

- პირველ კვარტალში გადასახდელების გეგმიდან ჩამორჩენა ძირითადად განპირობებულია „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების გეგმებიდან ჩამორჩენით, შესაბამისად, 3.0%-ითა (12.9 მლნ ლარით) და 24.5%-ით (15.3 მლნ ლარით);
- მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა გეგმიდან მნიშვნელოვან ჩამორჩენას გადასახდელების ყველა კომპონენტში. კერძოდ, „ხარჯების“ მუხლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 9.0%-ს (267.8 მლნ ლარი), „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებისთვის კი შესაბამისად, 19.7%-სა (99.3 მლნ ლარი) და 17.7%-ს (18.6 მლნ ლარი) შეადგენს;
- მესამე კვარტლის გადასახდელებიდან ორი თვის მდგომარეობით ათვისებულია 59.1% (2.7 მლრდ ლარი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია⁸. გეგმური მაჩვენებლის შესასრულებლად კვარტლის ბოლო თვეში (სექტემბერში) ასათვისებელი თანხა 1.9 მლრდ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 4. გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები კვარტალურ გეგმებთან მიმართებაში - 2020 წლის 8 თვე⁹.




⁸ 2019 წლის 8 თვის მდგომარეობით, მესამე კვარტალში ათვისებული თანხები კვარტალური გეგმის 61.9%-ს შეადგენდა.

⁹ მესამე კვარტლის გეგმის შესრულების მდგომარეობა მოცემულია ორი თვის (ივლისი-აგვისტო) მდგომარეობით.

პირველ სამ კვარტალში აუთვისებული თანხები აკუმულირდება მეოთხე კვარტალში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მნიშვნელოვან ზრდას. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 1.2 მლრდ ლარს შეადგენს. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (15.9 მლრდ ლარი) შესრულდება, წლის ბოლო ოთხი თვის გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 1.6 მლრდ ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი რვა თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს 32.8%-ით აღემატება¹⁰.

დიაგრამა 5. გადასახდელებისა და მისი კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა (მლნ ლარი) - 2018-2020 წწ.




თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გასულ წლებში გადასახდელების ათვისება წლის ბოლო 4 თვის განმავლობაში თანაბარზომიერად არ მიმდინარეობდა და ძირითადად კონცენტრირებული იყო დეკემბერზე, ასევე იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წლის 8 თვეში ათვისების ტენდენციები წინა წლების შესაბამისი პერიოდის მსგავსია (იხ. დიაგრამა 6)¹¹, 2020 წლის

¹⁰ 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 45.6%-ს, ხოლო 2019 წელს - 24.2%-ს შეადგენდა.

¹¹ დეკემბერში გაწეულმა გადასახდელებმა წინა 11 თვის საშუალო მაჩვენებელს 2018 წელს 162%-ით გადააჭარბა, ხოლო 2019 წელს - 78.4%-ით.


ბოლოსაც მოსალოდნელია ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნული კი ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად გახარჯვის რისკს.

დიაგრამა 6. ყოველთვიურად გაწეული გადასახდელების წილი გადასახდელების წლიურ მაჩვენებელთან (2020 წლის შემთხვევაში წლიურ გეგმასთან) მიმართებით - 2017-2020 წწ.



ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერი ათვისების ტენდენციები თვალსაჩინოდ ვლინდება ცალკეული პროგრამების კრილში. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 132 პროგრამიდან თითოეულის ფარგლებში ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებები ფისკალური წლის დასრულებამდე სრულად იქნება ათვისებული, დარჩენილი ოთხი თვის ათვისების საშუალოთვიური მაჩვენებელი 51 პროგრამისთვის (პროგრამების 39%) 8 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 1.5-ჯერ, ხოლო 31 პროგრამის შემთხვევაში (პროგრამების 23%) - 2-ჯერ გადააჭარბებს.

დიაგრამა 7. პროგრამების განაწილება 2020 წლის ბოლო 4 თვის მოსალოდნელი საშუალო ათვისების 8 თვის ფაქტობრივ საშუალო მაჩვენებელთან თანაფარდობის მიხედვით.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან ყურადღება გამახვილდეს ასიგნების დროულ და თანაბარზომიერ ათვისებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნების ათვისების (მათ შორის ავანსის სახით) კონცენტრირება.

3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

2020 წელს კორონავირუსის პირობებში სახელმწიფოს წინაშე წარმოიშვა პანდემიასთან და მისგან გამოწვეულ ნეგატიურ ეკონომიკურ ეფექტებთან საპასუხო ღონისძიებების დაფინანსების აუცილებლობა. ბიუჯეტის კანონის ცვლილებამდე, აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ძირითადად ხდებოდა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის კანონით დაგეგმილი ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შეფერხებას, რაც გარკვეულწილად მათზე გამოყოფილი ასიგნებების ათვისების დაბალ მაჩვენებლებში გამოიხატა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შესრულების პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები, რიგ შემთხვევებში გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით. თუმცა, ჩატარებული ანალიზით გამოიკვეთა ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებული ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც საბიუჯეტო რესურსების მართვის არაეფექტიანობითაა გამოწვეული.

□ ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება

ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმების დაზუსტების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხშირად ხორციელდება ასიგნებების გადანაწილებები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. აღნიშნული ქმნის ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის და დასახული მიზნების მიღწევისათვის საჭირო სახსრების დეფიციტის რისკს. მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტების შესრულების ანალიზის პროცესში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა საბიუჯეტო სახსრების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები:


1. წლის განმავლობაში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც ბიუჯეტის კანონით არ იყო გათვალისწინებული ან გამოყოფილი ასიგნება საკმარისი არ აღმოჩნდა. სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაციის მხრიდან შესაძლებელი იყო საჭირო ოდენობის რესურსის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში);
2. რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში).

□ ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსის ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 8 თვის

მდგომარეობით 9 თვის დამტკიცებული გეგმის 75.2%, ხოლო დაზუსტებული გეგმის 74.0% შეადგინა¹².

დიაგრამა 8. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება 8 თვის ათვისების მაჩვენებლის მიხედვით 9 თვის დამტკიცებულ¹³ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით - 2020 წ.



ანალიზის პროცესში გამოვლინდა ისეთი პროგრამები/ქვეპროგრამები, რომლებიც ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან როგორც ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ, ასევე კვარტალური განწერით განსაზღვრულ 9 თვის გეგმასთან მიმართებით¹⁴. ამასთანავე, ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში 8 თვის განმავლობაში ასიგნებები არ ათვისებულა, რის გამოც წლის ბოლომდე ამ პროგრამებისათვის გამოყოფილი დაფინანსების სრულად ათვისება ნაკლებ სავარაუდოა (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

□ კორონავირუსის (Covid 19) პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯები


2020 წლის ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ბიუჯეტში აისახა პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შოკების საპასუხო ღონისძიებები. ამ მხრივ გამოყოფილმა თანხამ 2,038 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯები რამდენიმე მიმართულებით გადანაწილდა. კერძოდ, დაფინანსების 39.5% (806 მლნ ლარი) მიიმართა მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, 23.8% (485 მლნ ლარი) ეკონომიკის სტიმულირებაზე, ხოლო 17.1% (348 მლნ ლარი) ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერაზე.

¹² მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს და საქართველოს საპატრიარქოს მიერ განხორციელებულ პროგრამებს. გარდა ამისა გადასახდელები არ მოიცავს მიზნობრივ გრანტებს, რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

¹³ სხვაობა პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამურ რაოდენობაში დაზუსტებულთან შედარებით გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ზოგიერთი პროგრამისთვის/ქვეპროგრამისთვის ბიუჯეტის კანონით წლიური გეგმა არ არის განსაზღვრული.

¹⁴ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ათვისებული რესურსის განსაზღვრულ გეგმასთან შესადარისობის უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების ათვისების მდგომარეობის ანალიზისას გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლები არ მოიცავს მიზნობრივი გრანტების სახით გადახდილ სახსრებს (თუ სხვა რამ არ არის მითითებული), რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

დიაგრამა 9. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების ფარგლებში პანდემიის შედეგად გამოწვეული დამატებითი ხარჯების განაწილება სექტორების მიხედვით (მლნ ლარი).



საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე გამოყოფილი თანხიდან¹⁵ 133.5 მლნ ლარი წარმოადგენს StopCov ფონდში აკუმულირებულ თანხას, საიდანაც 8 თვის მდგომარეობით, 120 მლნ ლარი მიიმართა ჯანდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამის - „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქება (18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი სოციალური დახმარება)“ დაფინანსებისთვის¹⁶.

პანდემიის შედეგად გამოწვეული დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად გარდა ბიუჯეტის კანონის ცვლილებისა, 21.3 მლნ ლარი აკუმულირებული იქნა პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილების შედეგად, საიდანაც 16 მლნ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიიმართა ეკონომიკის სტიმულირების, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 5 მლნ ლარი - სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები 2.8 მლრდ ლარის მოცულობით დაიგეგმა. ივნისში ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, მაჩვენებელი 3.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა (260.5 მლნ ლარით). აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ (51.2%) განაპირობა StopCov ფონდმა, რომელიც პანდემიის საპასუხო ღონისძიებების დასაფინანსებლად შეიქმნა.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ყველაზე მსხვილ კომპონენტებს წარმოადგენს საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და


¹⁵ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები – 85 მლნ ლარი; საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა – 42 მლნ ლარი.

¹⁶ აღნიშნული ქვეპროგრამა (პროგრამული კოდით 27 02 06 04) ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული არ ყოფილა და მისი დაფინანსება სრულად განხორციელდა StopCov ფონდიდან.

დაფარვა (1.4 მლრდ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (448 მლნ ლარი) და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (400 მლნ ლარი).

- 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, ათვისების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი**. ფონდის ათვისების მაჩვენებელი (5.8 მლნ ლარი) წლიურ გეგმასთან მიმართებით 29.1%-ს, ხოლო კვარტალური განწერით განსაზღვრულ 9 თვის გეგმასთან - 68.4%-ს შეადგენს;
- 2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი** 350 მლნ ლარით განისაზღვრა, კანონში განხორციელებული ცვლილებით კი 50 მლნ ლარით გაიზარდა და 400 მლნ ლარს გაუტოლდა. 8 თვის მდგომარეობით, ფონდიდან გადარიცხული (საკასო ხარჯი) იქნა 209.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 52.3%-სა და 9 თვის გეგმის 93%-ს შეადგენს;
- **მთავრობის სარეზერვო ფონდის** მოცულობა 2020 წლის ბიუჯეტის კანონით 50 მლნ ლარის ოდენობით დაიგეგმა. 8 თვის მდგომარეობით, ფონდიდან გამოყოფილმა თანხამ 10.9 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივმა (საკასო) ხარჯმა 10 მლნ ლარი შეადგინა. ფონდიდან გამოყოფილი სახსრების უდიდესი წილი (71%) პანდემიით გამოწვეული ხარჯების დასაფინანსებლად გადაუნაწილდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (3.6 მლნ ლარი); ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (4 მლნ ლარი) და საგარეო საქმეთა სამინისტროს (0.1 მლნ ლარი).

დიაგრამა 10. 2020 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა (8 თვის მდგომარეობით).



4. სახელმწიფო ვალი

2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა¹⁷ 26.3 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2019 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელს 5.7 მლრდ ლარით აღემატება. აღნიშნული ზრდა უმეტესწილად დაკავშირებულია ახალი სესხების აღებასთან¹⁸. მთავრობის ვალის ნაშთი¹⁹ კი 5.6 მლრდ ლარით არის გაზრდილი და 25.5 მლრდ ლარს უტოლდება. აღნიშნული ზრდაც ასევე ძირითადად ახალი სესხების აღებითაა გამოწვეული. კერძოდ, მთავრობის ვალის ნაშთის ზრდაში ახალი სესხების აღების ეფექტი 67.1%-ს, ხოლო ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი 32.9%-ს შეადგენს.

ცხრილი 5. მთავრობის ვალის სტრუქტურა 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით (მლნ ლარი).

	2019 წლის ნაშთი	2020 წლის ბიუჯეტის კანონი	2020 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება	2020 წლის 8 თვის ნაშთი	8 თვის ნაშთის წილი მშპ-ში ²⁰
მთავრობის საგარეო ვალი	15,750	17,109	21,370	19,962	40%
მრავალმხრივი კრედიტორები	11,262	12,173	15,359	14,132	
ორმხრივი კრედიტორები	3,049	3,443	4,514	4,290	
ევრო-ობლიგაციები	1,434	1,487	1,492	1,535	
გარანტირებული კრედიტები	5	5	5	5	
მთავრობის საშინაო ვალი	4,166	5,471	5,971	5,573	11.2%
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	3,766	5,114	5,614	5,193	
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	393	353	353	371	
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალი	7	4	4	9	
მთავრობის ვალი	19,916	22,579	27,341	25,535	51.1%

მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურაში, ვალუტების მიხედვით, დომინირებს ევროში აღებული სესხების მოცულობა (39.5%), რაც 2019 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელს 8 პროცენტული პუნქტით აღემატება.

დიაგრამა 11. მთავრობის საგარეო ვალის დიაგრამა 12. 2017-2020 წწ 8 თვის მდგომარეობით მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა ვალუტების მიხედვით.


¹⁷ მაჩვენებელი არ ითვალისწინებს ე.წ „ისტორიული ვალის“ პირობით მოცულობას.

¹⁸ ზრდაში ახალი სესხების აღების ეფექტი 66.2%-ს შეადგენს, ხოლო ვალუტის კურსის ეფექტი 33.8%-ს. ვალუტის კურსის ეფექტის დადგენისათვის 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით არსებული ვალის ნაშთი (როგორც სახელმწიფო ისე მთავრობის ვალის შემთხვევაში) გამოსახულია 2019 წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსებით.

¹⁹ მთავრობის ვალი წარმოადგენს სახელმწიფო ვალის ნაშთს გამოკლებული ეროვნული ბანკის ვალი და დამატებული საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი.

²⁰ მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი, რომელიც წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტში.

კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი -
2019-2020 (8 თვე) წწ. (მლნ ლარი)



4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები

2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, კრედიტების სახით საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 3.1 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 49%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 84%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მიღებული კრედიტების ძირითადი ნაწილი ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხებზე მოდის, რომელთა მიზნობრიობა, საინვესტიციო პროექტებისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული არ არის და ძირითადად მიიმართება ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად. 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში მიღებულია 763 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 95%-სა და წლიური გეგმის 74%-ს შეადგენს. რაც შეეხება ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხებს, 8 თვის მდგომარეობით აღნიშნული წყაროდან ბიუჯეტში მობილიზდა 2.3 მლრდ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 81%-სა და წლიური გეგმის 44%-ს შეადგენს.

ცხრილი 6. საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).


	2020 წლის ბიუჯეტის კანონი	2020 წლის 9 თვის გეგმა	2020 წლის 8 თვის ფაქტი	შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებით (%)	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით (%)
საგარეო კრედიტები	6,188	3,632	3,053	84.1%	49.3%
საინვესტიციო	1,033	802	763	95.2%	73.9%
ბიუჯეტის მხარდამჭერი	5,155	2,830	2,291	80.9%	44.4%

ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 1.03 მლრდ ლარის მოცულობის შეღავათიანი საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 52 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. ასევე, წლის

განმავლობაში დამატებით 4 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში²¹, რომლებიც ბიუჯეტის კანონით არ იყო განსაზღვრული, განხორციელდა თანხების ათვისება, ჯამურად 5.9 მლნ ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტების ნაწილი, 8 თვის მდგომარეობით, ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, რაც საინვესტიციო პროექტების შეფერხებებით განხორციელებაზე მიუთითებს. კერძოდ, საკრედიტო სახსრების ათვისება 60%-ზე ნაკლებია (9 თვის გეგმასთან მიმართებით) 14 პროექტის შემთხვევაში. აღნიშნულ პროექტებზე საბოლოო კვარტალური განწერით განსაზღვრული 9 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო ჯამურად 125.4 მლნ ლარის მიმართვა, საიდანაც 8 თვეში ათვისებული იქნა მხოლოდ 25 მლნ ლარი (20%).

დიაგრამა 13. საინვესტიციო პროექტების განაწილება 2020 წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებით 8 თვის მდგომარეობით ათვისებული თანხების მიხედვით²².



პროექტების განმახორციელებლების ინფორმაციით, ძირითადად პროექტების შემაფერხებელი მიზეზებია: დონორებთან მოლაპარაკებების გაჭიანურება²³, პროექტის დაგეგმვასთან დაკავშირებული ხარვეზები²⁴, ცვლილებები ხელშეკრულებაში²⁵, სატენდერო პროცედურების გაჭიანურება²⁶, პროექტის დაგეგმვის პროცესის გაჭიანურება²⁷, პანდემიით გამოწვეული შეფერხება²⁸.

²¹ 25 02 03 19 - ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (ADB); 25 04 08 - წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU); 32 15 - გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამა (IBRD); 56 13 09 - აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW).

²² არ მოიცავს იმ საინვესტიციო პროექტებს, რომელთა ფარგლებში 9 თვის განმავლობაში არ იყო დაგეგმილი თანხების ათვისება (8 პროექტი).

²³ 27 04 04

²⁴ 25 02 02 15; 31 05 12 03

²⁵ 25 04 01

²⁶ 56 13 06; 56 13 08; 24 14 03 03

²⁷ 32 13/ 25 07 05

²⁸ 56 13 04; 26 09; 24 12; 32 13/ 25 07 05

ცხრილი 7. 2020 წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებით 60%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი საინვესტიციო პროექტი (ათასი ლარი).

პროგ. კოდი	პროექტის დასახელება	2020 წლის ბიუჯეტის კანონი	9 თვის გეგმა	8 თვის ფაქტი	ათვისება 9 თვის გეგმასთან	ათვისება წლიურ გეგმასთან
29 10	საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	5,000	5,000	-	0.0%	0.0%
56 13 04	ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD)	2,500	2,500	-	0.0%	0.0%
56 13 06	თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD)	27,000	23,472	-	0.0%	0.0%
56 13 08	თბილისის მეტროს პროექტი (EBRD)	15,000	15,000	-	0.0%	0.0%
27 04 04	COVID-19-თან დაკავშირებული ჯანდაცვის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება (EIB)	29,000	14,000	-	0.0%	0.0%
26 09	ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (WB)	13,500	11,652	837	7.2%	6.2%
32 13 25 07 05	ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)	5,000	4,540	344	7.6%	6.9%
31 05 12 03	მერძეეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA) (IFAD)	3,600	2,875	487	16.9%	13.5%
25 04 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)	800	800	305	38.1%	38.1%
24 12	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი ა (IBRD)	26,342	15,810	7,844	49.6%	29.8%
24 14 03 03	500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB)	18,000	3,500	1,818	51.9%	10.1%
25 02 02 15	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB)	19,000	4,841	2,548	52.6%	13.4%

საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების დროული ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის სესხებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის (Commitment Fee) გადახდას კრედიტის ათვისებელ ნაწილზე²⁹, რადგან პროექტის დაგეგმილზე დაგვიანებით განხორციელება იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას. ვალდებულების გადასახადის გადახდა იწყება სესხის ეფექტურად გახდომის შემდეგ და ერიცხება კრედიტის ათვისებელ ნაწილზე, მიუხედავად იმისა მიმდინარეობს თუ არა სესხის ათვისება. 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, 29 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში გადახდილი ვალდებულების გადასახადი 5.4 მლნ ლარს შეადგენს. მათ შორის, 9 თვის გეგმასთან მიმართებით 60%-ზე დაბალი შესრულების მქონე 9 პროექტის შემთხვევაში, გადახდილი გადასახადი 2.1 მლნ ლარს უტოლდება.

²⁹ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური თანხის ათვისებელ ნაწილზე.

4.2. საშინაო ვალი

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 2.6 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 2.6 მლრდ ლარის შემოსულობა, მათ შორის 24.5 მლნ ლარი პრემიუმის სახით. აღნიშნული მოიცავს ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით ემისიას, ჯამურად 594 მლნ ლარის ოდენობით, რაც გულისხმობს 2018 წლის 17 იანვარს გამოშვებული 10-წლიანი ვადიანობის მქონე ფასიანი ქაღალდების დამატებით ემისიას 2028 წლის 18 იანვარს დაფარვის პირობით³⁰. აღნიშნული ემისია განხორციელდა მიმდინარე წლის ივნისი-ივლისის პერიოდში და მიღებული რესურსი სრულად განთავსდა 13 კომერციული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატებში, რომელთა საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც კუპონის განაკვეთს დამატებული 0.5 პპ.

ცხრილი 8. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია - 2020 წლის 8 თვე (მლნ ლარი).

	ნომინალური ღირებულება (ემისიის მოცულობა)	დისკონტი	პრემიუმი	ფაქტობრივი შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში (ძირი თანხა)
6-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	270	-11		259
12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	460	-37		423
2-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	560	-1	8	567
5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	640	-0.7	13	652
10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	704	-0.1	4	708
ჯამი:	2,634	-50	25	2,609

4.3. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2020 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის დაიხარჯა 2.3 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 66.4%-ს შეადგენს.

ცხრილი 9. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები - 2020 წლის 8 თვე (მლნ ლარი).


	2020 წლის ბიუჯეტის კანონი გეგმა	8 თვის ფაქტი	8 თვის ათვისება წლიურ გეგმასთან
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,360	803	59%
ძირი	985	586	59.5%
პროცენტი	375	217	57.9%

³⁰ ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისიის საშუალო შეწონილი განაკვეთია 9.375.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2,096	1,490	71.1%
ძირი	1,720	1,204	70%
პროცენტი	376	286	76.1%
სულ სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	3,456	2,293	66.4%

2020 წელს სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (65%) საშინაო ვალზე მოდის. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საშინაო ვალზე დარიცხულ პროცენტზე გაწეულმა ხარჯმა 286.3 მლნ ლარი, ხოლო ძირი თანხის დაფარვის მაჩვენებელმა 1.2 მლრდ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 14. საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა - 2020 წლის 8 თვე (მლნ ლარი).



დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები

1. წლის განმავლობაში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც ბიუჯეტის კანონით არ იყო გათვალისწინებული ან რომელთათვისაც გამოყოფილი ასიგნება საკმარისი არ აღმოჩნდა. სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაციის მხრიდან შესაძლებელი იყო საჭირო ოდენობის რესურსის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.

- თავდაცვის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ დელტას (29 07 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტების შეძენის მიზნით იანვრის თვეში გადაუნაწილდა 1.4 მლნ ლარი. იმავე მიზნით, ივნისში ქვეპროგრამის მე-4 კვარტლიდან პირველ კვარტალში გადატანილი იქნა 1.1 მლნ ლარი.
სამინისტროს ქვეპროგრამის - „თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა“ (29 09 01 01) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, საბიუჯეტო განაცხადით მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შესაძენად, მოთხოვნილი იყო 1.9 მლნ ლარი, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად და წლის განმავლობაში იმავე ქვეპროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან საჭირო გახდა 1.2 მლნ ლარის გადანაწილება.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეპროგრამის - „სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება“ (30 06 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლში ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ჭერს ზევით მოთხოვნილი ჰქონდა 5.2 მლნ ლარი, რისი გათვალისწინებაც ბიუჯეტში არ მომხდარა. 8 თვის მდგომარეობით, ბიუჯეტით დამტკიცებული სახსრები საკმარისი არ აღმოჩნდა და საჭირო გახდა „სამინისტროს ცენტრალური აპარატის“ (30 01 01) ქვეპროგრამიდან 4 მლნ ლარზე მეტი ასიგნების გადანაწილება ზემოხსენებულ ქვეპროგრამაზე.
- იუსტიციის სამინისტროს პროგრამის - „ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ (26 03) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში ბიუჯეტის კანონით თანხა გათვალისწინებული არ ყოფილა. 2020 წლის აგვისტოში, რეგიონული არქივის შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების განსახორციელებლად, იმავე პროგრამული კოდის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან განხორციელდა 240 ათასი ლარის გადანაწილება.

2. რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა.

- *ეკონომიკის სამინისტროს* პროგრამიდან - „ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება“ (24 10) აპრილის თვეში 493 ათასი ლარი გადატანილი იქნა ქვეპროგრამაზე - „სახელმწიფო ქონების ადმინისტრირება“ (24 06 01), ხოლო მაისის თვეში 1.2 მლნ ლარი ქვეპროგრამაზე - „მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი“ (24 01 04). ივლისში 24 10 პროგრამულ კოდზე საჭირო გახდა 2 მლნ ლარის უკან გადატანა.
- *იუსტიციის სამინისტროს* ქვეპროგრამის - „სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (26 08) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან 2020 წლის მარტსა და აპრილში 500 ათასი ლარი გადანაწილდა სხვა პროგრამულ კოდებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე. ივნისში, აღნიშნული პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში სხვა პროგრამებიდან უკან იქნა გადმოტანილი 3 მლნ ლარი.
- *თავდაცვის სამინისტროს* პროგრამის - „თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება“ (29 08) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში დაფინანსება 2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 51.6 მლნ ლარით განისაზღვრა, რომელიც კანონის განხორციელებული ცვლილების ფარგლებში 10 მლნ ლარით შემცირდა. გარდა კანონის ცვლილების დროს ასიგნების შემცირებისა, 18 ივნისს აღნიშნული მუხლიდან 5 მლნ ლარი გადანაწილდა ქვეპროგრამის - „თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა“ (29 09 01 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლში. საბოლოოდ, ამ მუხლში დარჩენილი ასიგნება არ აღმოჩნდა საკმარისი და საჭირო გახდა 2 მლნ ლარის მოძიება.

დანართი 2. ბიუჯეტის შესრულება - მაგალითები

ნულოვანი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები³¹ - 2020 წ. (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია პროგრამული კოდების მიხედვით.

პროგრამის დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა (1)	9 თვის დამტკიცებული გეგმა (2)	9 თვის დაზუსტებული გეგმა (3)	8 თვის ფაქტი (4)	(4)/(2)	(4)/(3)
გუდაურის სათხილამურო ტრასების მშენებლობისთვის (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია (24 06 06)	5,000	4,000	1,000	0	0.0%	0.0%
ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (24 18)	3,725	1,490	582	0	0.0%	0.0%
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან (კოპიტნარი) სატრანსპორტო კვანძის მოწყობა (25 02 02 12)	1,700	1,700	0	0	0.0%	0.0%
ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში (25 07 03)	40,000	30,000	10,000	0	0.0%	0.0%

³¹ ცხრილში მოცემული ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ათვისებლობის მიზეზი შესაძლოა იყოს პანდემიიდან გამომდინარე გარემოება.

დანაშაულის პრევენციის პროგრამები (26 06 01)	1,285	1,028	0	0	0.0%	0.0%
სრულყოფილი პრობაციის სისტემა (26 06 02)	4,900	4,058	0	0	0.0%	0.0%
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (27 05 03)	2,090	1,471	1,471	0	0.0%	0.0%
საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) (29 10)	5,000	5,000	5,000	0	0.0%	0.0%
დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა (31 08 02)	450	450	50	0	0.0%	0.0%

ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები³² - 2020 წ. (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია პროგრამული კოდების მიხედვით.

პროგრამის დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა (1)	9 თვის დამტკიცებული გეგმა (2)	9 თვის დაზუსტებული გეგმა (3)	8 თვის ფაქტი (4)	(4)/(2)	(4)/(3)
შიდა ტურიზმი და მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე (24 05 02 01)	20,000	11,535	3,305	721	6.3%	21.8%
სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები (25 02 02 05)	10,000	9,500	10,790	2,187	23.0%	20.3%
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	20,000	11,100	11,100	4,383	39.5%	39.5%
სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (25 02 02 09)	20,000	18,100	7,759	3,924	21.7%	50.6%
ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 03 07)	6,000	4,250	2,948	1,658	39.0%	56.2%
სივრცითი დაგეგმარება და ურბანული განვითარება (25 03 12)	3,830	1,500	1,479	240	16.0%	16.2%
მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება და გადამზადება (26 04 02)	700	662	445	208	31.4%	46.8%
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	703	627	627	230	36.7%	36.7%
ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	1,240	1,190	670	281	23.6%	41.9%
დიაბეტის მართვა (27 03 03 02)	15,000	14,164	14,164	7,976	56.3%	56.3%
თავდაცვის ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (27 03 03 09)	1,000	685	485	192	28.1%	39.6%
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)	500	310	310	46	14.9%	14.9%

³² ცხრილში მოცემული ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ათვისებლობის მიზეზი შესაძლოა იყოს პანდემიიდან გამომდინარე გარემოება.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება (27 05 0)	700	483	483	220	45.6%	45.6%
შრომის პირობების ინსპექტირება (27 05 02)	3,210	2,119	1,956	942	44.5%	48.2%
სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)	650	455	455	6	1.4%	1.4%
ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (27 06 02)	5,000	4,150	4,150	824	19.9%	19.9%
იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (27 06 03 01)	81,000	75,200	74,620	25,831	34.3%	34.6%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	800	225	355	81	36.2%	22.9%
„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები“ (28 01 04 02)	1,500	1,500	1,500	35	2.3%	2.3%
კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (29 04 01)	1,800	1,448	1,448	666	46.0%	46.0%
სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი (31 02 02)	1,150	700	700	181	25.9%	25.9%
აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები (31 02 06)	17,000	15,065	11,097	5,331	35.4%	48.0%
რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები (31 03 05)	69,400	69,255	69,770	16,241	23.5%	23.3%
აგროდაზღვევა (31 05 03)	9,000	6,750	5,750	2,553	37.8%	44.4%
ქართული ჩაი (31 05 05)	500	488	488	23	4.7%	4.7%
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (31 05 06)	12,000	9,613	9,313	4,326	45.0%	46.4%
მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (31 05 08)	5,000	4,000	1,700	450	11.3%	26.5%
პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (31 05 09)	1,500	1,126	326	37	3.3%	11.3%
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (31 05 11)	4,500	4,238	10,666	1,652	39.0%	15.5%
აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა (31 05 18 03)	10,000	10,000	10,000	1,260	12.6%	12.6%
დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF) (31 08 04)	2,820	2,375	2,375	918	38.6%	38.6%
ტყითსარგებლობის ღონისძიებები (31 09 03)	5,100	4,155	3,805	1,460	35.1%	38.4%
ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები (31 09 04)	400	300	300	92	30.6%	30.6%
საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)	4,830	5,861	2,790	1,178	20.1%	42.2%

კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (32 07 06)	10,000	7,772	5,071	1,307	16.8%	25.8%
საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი (32 08 02)	2,300	1,733	1,575	866	50.0%	55.0%
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა (32 10 03 02)	8,715	5,827	5,907	3,490	59.9%	59.1%

1. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან როგორც ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ, ასევე კვარტალური განწერით განსაზღვრულ 9 თვის გეგმასთან მიმართებით³³. ამასთანავე, ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში 8 თვის განმავლობაში ასიგნებები არ ათვისებულა, რის გამოც წლის ბოლომდე ამ პროგრამებისათვის გამოყოფილი დაფინანსების სრულად ათვისება ნაკლებ სავარაუდოა.

- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვეპროგრამას - „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან (კოპიტნარი) სატრანსპორტო კვანძის მოწყობა“ (25 02 02 12) ბიუჯეტის კანონით დაფინანსება განესაზღვრა 1.7 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის მდგომარეობით თანხა არ ათვისებულა.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამას - „პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა“ (31 05 09) ბიუჯეტის კანონით დაფინანსება განესაზღვრა 1.5 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია 37 ათასი ლარი (გეგმის 2.5%). დაბალი ათვისება ნაწილობრივ გამოწვეულია პანდემიით.
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამას - „ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები“ (24 18) ბიუჯეტის კანონით დაფინანსება განესაზღვრა 3.7 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა განკუთვნილი იყო სხვადასხვა დავალიანებების დასაფარად. 8 თვის მდგომარეობით თანხის ათვისება არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ იმავე ოდენობის თანხა იგივე მიზნობრივობით მოცემულ პროგრამაში გათვალისწინებულია 2021 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტითაც.

³³ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ათვისებული რესურსის განსაზღვრულ გეგმასთან შესადარისობის უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების ათვისების მდგომარეობის ანალიზისას გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლები არ მოიცავს მიზნობრივი გრანტების სახით გადახდილ სახსრებს (თუ სხვა რამ არ არის მითითებული), რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).